#1 ადგილი ოფიციალური
დოკუმენტების გაცემის მიმართულებით

#2 ადგილი სახელმწიფო
სერვისების მიწოდების ეფექტურობის
მიმართულებით

მომხმარებლის **92%-ის**
კმაყოფილება ოფიციალური
დოკუმენტების გაცემის
პროცედურების მიმართულებით

წყარო: "განვითარებადი ქვეყნების ცხოვრების კვლევა",
EBRD, 2011

2 405 405
info@psh.gov.ge
www.psh.gov.ge
www.facebook.com/publicservicehall

ყველაფერი ერთ სივრცეში

მივიღე
მემკვიდრეობა

...გახდი მისი მფლობელი!

იუსტიციის
სახლი

როგორ გავხდე მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების კანონიერი მესაკუთრე?

იმისთვის, რომ მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების კანონიერი მესაკუთრე გახდეთ, საჭიროა მასზე თქვენი საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია გულისხმობს ამ უფლების წარმოშობის შესახებ საჯარო რეესტრში მონაცემთა აღრიცხვას.

მხოლოდ მემკვიდრეობის მიღებით თქვენ არ ხდებით უძრავი ქონების მესაკუთრე. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოიშობა იუსტიციის სახლში რეგისტრაციის საფუძველზე.

მხოლოდ საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან შეუძლია მესაკუთრეს, განკარგოს (გაასხვისოს, იპოთეკით დატვირთოს და ა.შ.) უძრავი ქონება.

ვის მივმართო საკუთრების უფლების რეგისტრაციისთვის?

მემკვიდრეობის საფუძველზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიმართეთ იუსტიციის სახლს.

რა დოკუმენტები მჭირდება რეგისტრაციისთვის?

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება მიმღები ოპერატორის მიერ);
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. სათანადო წესით დამოწმებული სამკვიდრო მოწმობა;
4. თუ უძრავი ნივთი აღრიცხულია ტექნიკური აღრიცხვის არქივში, ასეთ შემთხვევაში ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან გაცემული ცნობა–დახასიათება ან/და საინვენტარიზაციო გეგმა, საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ნახაზის შესაბამისი ელექტრონული ვერსია;
5. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდა შესაძელებელია ადგილზე;
6. იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული პირის წარმომადგენელი ბრძანდებით, მაშინ დამატებით წარმოადგინეთ ნოტარიულად დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა, დამატებით მოთხოვნილ იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადა და საფასური

მომსახურების ვადა	მომსახურების საფასური
4 სამუშაო დღეში	50 ლარი
1 სამუშაო დღეში	150 ლარი
იმავე დღეს	200 ლარი

ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და სრულდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს,მაშინ ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.